SOCAR
KULEVI OIL TERMINAL
Black Sea Terminal LLC
Kulevi, Khobi, 5800, Georgia
Phone: (995 32) 224 38 38
Fax: (995 32) 224 38 39
E-mail: info@bst.socar.az
www.kulevioilterminal.com

№ SCRK/LO-21/05-0701

2021 წლის 11 მაისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს, ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხობის მუნიციპალიტეტში შპს „შავი ზღვის ტერმინალი" ფლობს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალს, რომლის პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს N6 სარეზერვუარო პარკი. აღნიშნული (№6) სარეზერვუარო პარკის ფუნქციონირების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ. მ და 2X2000 კუბ. მ მოცულობის ნავთობპროდუქტებისა (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) და 2000 კუბ.მ მოცულობის ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების (იზოპროპილის სპირტის) საცავების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ 2021 წლის 7 მაისის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-622.

ამჟამად, კომპანიის მიერ დაგეგმილია N6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ხუთი რეზერვუარის მიმდებარედ მე-6-ე 1X5000მ³ მოცულობის რეზერვუარის (რეზერვუარი N30) მოწყობა თხევადი პიროლიზური პროდუქტისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, N6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქცია გარემოსადაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

მოგმართავთ სკრინინგის განცხადებით საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და წარმოგიდგენთ ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის N6 სარეზერვუარო პარკში დამატებით ახალი 1x5000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობის პროექტის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიშს.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

კარიმ გულიევი

შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს
გენერალური დირექტორი

№ 8226
"13" 05 2021